საერთაშორისო მობილობა 2021/22 წლის შემოდგომის სემესტრში
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ოსტრავას უნივერსიტეტს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში

გაცნობებთ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ოსტრავას უნივერსიტეტს (ჩეხეთი) შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის ოსტრავას უნივერსიტეტში მობილობის განხორციელების მიზნით.

მობილობის ხანგრძლივობა:

- ერთი სემესტრი

სტიპენდიის მოცულობა:

- ყოველთვიური სტიპენდია - 800 EUR
- სამგზავრო ხარჯებისათვის - 360 EUR

კონკურსი მონაწილეობის მიღების წინაპირობები:

- კანდიდატს უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი და ირიცხებოდეს რელევანტურ საფეხურზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (განაცხადის შემოტანა შესაძლებელია მხოლოდ იმ საფეხურზე, რომელზეც კანდიდატი ირიცხება კონკურსის მიმდინარეობისას);
- ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტს დასრულებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 60 კრედიტი;
- მობილობის პერიოდში აპლიკანტი არ უნდა იყოს დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი;
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტს არ უნდა ჰქონდეს მოპოვებული Erasmus Mundus ან Erasmus+ გრანტი ანალოგიურ საფეხურზე;
- მობილობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სტუდენტებისათვის; კურსების კატალოგი იხილეთ: https://prf.osu.eu/short-term-courses/?filtr=a&title=&isced=3&lan0=a
- კანდიდატი უნდა ფლობდეს შესაბამის უცხო ენას მინიმუმ B2 დონეზე, რის შესახებაც მან კონკურსის პერიოდში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე);

განაცხადის წარგდენა:

- კანდიდატმა განაცხადი კონკურსის ვადის დაცვით უნდა წარმოადგინოს ელექტრონულად;

- ელექტრონული განაცხადი უნდა შეივსოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელ-ფოსტის მისამართის გამოყენებით. დაუშვებელია განაცხადის შევსება პირადი ან სხვა პიროვნების ელფოსტის გამოყენებით;
- განიხილება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადები. დაუშვებელია კონკურსისათვის საჭირო დოკუმენტების ეტაპობრივად, ნაწილ-ნაწილ გამოგზავნა. ასეთ შემთხვევაში კანდიდატი ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან;

ელექტრონული განაცხადის ფორმა იხილეთ ბმულზე: https://forms.gle/jMPPr1MK8DzNZcyK9

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა: 14 აპრილი (18:00 სთ., საქართველოს დროით), 2021 წელი.

ელექტრონული განაცხადის ფორმაში ასატვირთი დოკუმენტების ჩამონათვალი:
ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის;
მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

საუნივერსიტეტო და საკონკურსო პროცედურების ადმინისტრირების წესები და ხშირად დასმული კითხვები:

- გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესები და პროცედურები სტუდენტებისთვის იხილეთ: https://iliauni.edu.ge/uploads/other/59/59385.pdf;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესი იხილეთ https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41969.pdf;
- ხშირად დასმული კითხვები: FAQ.

დამატებითი შეკითხვებით მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს:
ელფოსტა: erasmusplus@iliauni.edu.ge
ტელ.: (995 322) 220009 - 367 (ext)